ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაზე ადრე, წინსწრებით დაფარვისას/შემცირებისას ან რეფინანსირებისას (მსესხებლის მიერ საკუთარი ან/და მესამე პირის სახსრებით), ბანკი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრების/რეფინანსირების საკომისიო შემდეგი ოდენობით:
  - მსესხებლის საკუთარი ან მესამე პირის სახსრებით დაფარვისას, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2% (თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე პერიოდი, აღნიშნული საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ს, ხოლო, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე პერიოდი - 1%-ს).
  - კრედიტის რეფინანსირებისას, კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2% (თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე პერიოდი, აღნიშნული საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ს, ხოლო, თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე პერიოდი - 1%-ს).
- ბანკის მიერ მსესხებლისთვის ზემოაღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკომისიოს დაკისრება არ მოხდება შემდეგ შემთხვევებში:
  - თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი;
  - სს "ბაზიბანკის" მიერ კრედიტის მთლიანად ან ნაწილობრივ რეფინანსირებისას;
  - სს "ბაზისბანკის" მოთხოვნის საფუძველზე კრედიტის წინსწრებით დაფარვისას;
  - სს "ბაზისბანკის" მოთხოვნით, საკრედიტო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის უარის შემთხვევაში კრედიტის წინსწრებით დაფარვისას ან რეფინანსირებისას.
- ბანკი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მთელ პერიოდში, მსესხებლისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად განახორციელოს ყოველთვიური (და შესაბამისად, წლიური) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, თუ ბანკის მოთხოვნის შემხვევაში მსესხებელმა არ განახორციელა საკუთარი სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის დაზღვევა.
- მსესხებელი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია სს "ბაზისბანკის" ნებისმიერ სერვისცენტრში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) თვე, კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების დღიდან.
- საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში მსესხებლის ინფორმირება მოხდება ერთ-ერთი შემდეგი ფორმით: წერილობით, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის (ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი – www.basisbank.ge; ინტერნეტ-ბანკი) ან სატელეფონო (მათ შორის, სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობაილ ბანკი) საშუალებით.
- წინამდებარე თავსართი წარმოადგენს "საკრედიტო ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

საკრედიტო ხელშეკრულება

მუხლი 1. საკრედიტო ურთიერთობის/ხელშეკრულების ძირითადი პირობები

1.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს (შემდგომში – „კლიენტი“ ან „მსესხებელი“) შეუძლია ისარგებლოს სამომხმარებლო სესხით (შემდომში “სესხი”).

1.2. სესხის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით (დასაშვებია განაცხადის წრადგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით) ან დაეთანხმოს ბანკის შეთავაზებას (დასაშვებია შეთავაზებაზე დათანხმება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით). ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული განმარტოს უარის თქმის მიზეზი).

1.3. სესხის მიღების შემდეგ კლიენტი (მსესხებელი) ვალდებული იქნება დააბრუნოს სესხის თანხა და გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად. სესხზე სარგებელის დარიცხვა მიმდინარეობს ყოველდღიურად, ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება თვეში 30 (ოცდაათი) დღით. სესხზე სარგებლის დარიცხვა იწყება კლიენტის ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვის დღიდან

1.4. კლიენტის ფულადი ვალდებულები სრულდება მის ანგარიშ(ებ)ზე აკუმულირებული თანხებით.

1.5. თუ კლიენტს არ აქვს მიმდინარე ანგარიში, სესხის მიღების შესახებ განაცხადი იმავდროულად ჩაითვლება განაცხადად მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ და ბანკის მიერ სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სესხის გაცემამდე მას გაეხსნება მიმდინარე ანგარიში.

1.6. კლიენტის მიერ სესხის დასაფარავად ბანკისთვის გადაცემული ან მის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება სადაზღვევო პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი, შემდეგ სესხის ძირითადი თანხა.

1.7. კლიენტი ბანკს უფლებას ანიჭებს:

1.7.1. შეცვალოს ამ ხელშეკრულების “1.6.” პუნქტში მოცემული წესი;

1.7.2. ბანკმა თავად განსაზღვროს კლიენტის ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით (მოცულობით) და რომელ ვალდებულება დაიფაროს კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული ან/და კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტი ბანკს ანიჭებს კლიენტის სახელით კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობის (პრიორიტეტულობის) განსაზღვრის უფლებამოსილებას.

1.8. ყოველთვიურად გადასახდელი თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში კლიენტს წარმოეშვება გადაუხადოს ბანკისათვის ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს ფიქსირებული პირგასამტეხლოსა და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელთა ოდენობაც განისაზღვრება ვადაგადაცილების წარმოშობის მომენტში ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

1.9. სესხს არ დაერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა არასაბანკო დღეს. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო საბანკო დღეს.

1.10. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკთან შეთანხმებულ ვადაში არ დაფარავს სესხის ათვისების გზით მის მიერ ბანკისგან მიღებულ კრედიტს, მისთვის დარიცხულ სარგებელს, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაზღვევო პრემიას ან დროულად არ გადაიხდის ბანკის მიერ განსაზღვრულ რომელიმე საკომისიოს, ბანკს უფლება ექნება:

1.10.1. საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე;

1.10.2. ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს სესხის ათვისებით წარმოშობილი დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მასთან იპოთეკის ან გირავნობის ხელშეკრულების დადება (ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ბანკთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დატვირთავს ან დააგირავებს ბანკისთვის მისაღებ ქონებას, რომლის ღირებულებაც არ უნდა იყოს ათვისებული სესხის, მასზე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოს ჯამზე ნაკლები და უზრუნველყოს ბანკის უფლებების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისა და მათ საფუძველზე წარმოშობილი უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს კლიენტი);

1.10.3. მოითხოვოს გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის მისთვის გადაცემა და ნივთის მისთვის გადაცემის შემდეგ პირდაპირი მიყიდვის ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა წესით გაასხვისოს გირავნობის ან/და იპოთეკის საგანი და რეალიზაციისთვის საჭირო ხარჯების დაფარვის შემდეგ მიღებული თანხა მიმართოს კრედიტის დასაფარავად. თუკი გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის გაყიდვით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს კლიენტის დავალიანებას, ბანკს უფლება ექნება აღსრულება მიაქციოს კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე).

1.11. კლიენტის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხის, საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს ან სადაზღვევო პრემიის დროულად გადაუხდელობის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა და მოსთხოვოს კლიენტს სესხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ გადასახდელებთნ (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა) ერთად.

1.11. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაზე ადრე, წინსწრებით დაფარვისას/შემცირებისას ან რეფინანსირებისას (მსესხებლის მიერ საკუთარი ან/და მესამე პირის სახსრებით), ბანკი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრების/რეფინანსირების საკომისიო კლიენტთან შეთანხმებული შესაბამისი სესხის პირობებით, თუმცა შემდეგი გარემოებების სავალდებულო დაცვით:

1.11.1. მსესხებლის საკუთარი ან მესამე პირის სახსრებით კრედიტის წინსწრებით დაფარვისას/შემცირებისას, თუ საკრედიტო ვალდებულების ამოწურვამდე (ხელშეკრულების დასრულებამდე) დარჩენილია 6-დან 12 თვემდე პერიოდი, წინსწრებით დაფარვის/შემცირების საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ს, ხოლო, თუ საკრედიტო ვალდებულების ამოწურვამდე (ხელშეკრულების დასრულებამდე) დარჩენილია 12-დან 24 თვემდე პერიოდი - 1%-ს.

1.11.2. კრედიტის რეფინანსირებისას, თუ საკრედიტო ვალდებულების ამოწურვამდე (ხელშეკრულების დასრულებამდე) დარჩენილია 6-დან 12 თვემდე პერიოდი, რეფინანსირების საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%-ს, ხოლო, თუ საკრედიტო ვალდებულების ამოწურვამდე (ხელშეკრულების დასრულებამდე) დარჩენილია 12-დან 24 თვემდე პერიოდი - 1%-ს.

1.12. ბანკის მიერ მსესხებლისთვის წინსწრების/რეფინანსირების საკომისიოს დაკისრება არ მოხდება ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

1.12.1. თუ საკრედიტო ვალდებულების ამოწურვამდე (ხელშეკრულების დასრულებამდე) დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი;

1.12.2. სს "ბაზიბანკის" მიერ კრედიტის მთლიანად ან ნაწილობრივ რეფინანსირებისას;

1.12.3. სს "ბაზისბანკის" მოთხოვნის საფუძველზე კრედიტის წინსწრებით დაფარვისას;

1.12.4. სს "ბაზისბანკის" მოთხოვნით, საკრედიტო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის უარის შემთხვევაში კრედიტის წინსწრებით დაფარვისას ან რეფინანსირებისას.

1.13. კრედიტის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვა/შემცირება ან რეფინანსირება ხდება შემდეგი წესით:

1.13.1. მსესხებელი აკეთებს განაცხადს (წერილობით, ინტერნეტით ან ელექტრონული ფოსტით) ვალდებულების ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვის/შემცირების ან რეფინანსირების თაობაზე და განათავსებს ფულად სახსრებს ბანკში არსებულ შესაბამის ანგარიშზე.

1.13.2. სესხის დასაფარად/შესამცირებლად ან რეფინანსირებისთვის საკმარისი თანხის მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე სრულად არსებობის შემთხვევაში (ამავდროულად, ანგარიშზე არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის, საინკასო დავალება, ყადაღა და ა.შ), მსესხებლის მოთხოვნის შესრულება ხდება ბანკის მიერ განცხადების მიღების დღესვე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით კრედიტის დაფარვა საჭიროებს გარკვეულ ვადას.

1.13.3. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით კრედიტის დაფარვა საჭიროებს გარკვეულ ვადას, ბანკი ახდენს მსესხებლის განაცხადის განხილვას მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, მსესხებლის განაცხადის განხილვის პერიოდში ბანკის მიერ კრედიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ ხორციელდება.

1.14. კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, თუმცა არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, მსესხებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია, განახორციელოს გრაფიკის ცვლილება ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით:

1.14.1. ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე, თავდაპირველი გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური შენატანების შემცირების გზით; ან

1.14.2. კრედიტის დაფარვისთვის დარჩენილი ვადის შემცირება, თავდაპირველი გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური შენატანების შენარჩუნების გზით.

1.15. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების "1.14." პუნქტით მინიჭებული უფლებით, ან თუ მსესხებლის მიერ წინსწრებით შემცირებული თანხის ოდენობა ნაკლებია 500 (ხუთასი) ლარზე, მსესხებელი ვალდებულია, წინსწრებით თანხის გადახდის მიუხედავად, განაგრძოს ბანკისთვის თანხების გადახდა არსებული გრაფიკის მიხედვით.

1.16. კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სესხის პირობებით გათვალისწინებულია რეფინანსირების საკომისიო და ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ხდება რეფინანსირება, ბანკს უფლება ექნება კრედიტის წინასწრებით დაფარვის შესახებ კლიენტის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს დამატებით მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.

1.17. მხარეები თანხმდებიან, რომ:

1.17.1. კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ

ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით გაცემული თანხით სს “ბაზისბანკისგან” მიღებული სესხის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.

1.17.2. ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, კრედიტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს;

1.17.3. წინსწრებით დაფარვისა და რეფინანსირების საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან შეთანხმებული შესაბამისი სესხის პირობებით;

1.17.4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება, დაუბრუნოს მას მხოლოდ უაქცეპტო წესით ჩამოწერილი საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, კლიენტი უარს აცხადებს ბანკის ქმედებებით (ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

1.18. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ სესხის სარგებლობისთვის ბანკი მოითხოვს მისთვის სადაზღვევო პოლისის წარდგენას, კლიენტი ვალდებული იქნება:

1.18.1. დაზღვევის ხელშეკრულება დადოს ბანკისათვის მისაღებ პირთაგან რომელიმესთან, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად;

1.18.2. დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით.

1.18.3. უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთადერთ ბენეფიციარად ბანკის დასახელება.

1.19. დაზღვევის პირობების არსებითი გაუარესების ან სადაზღვევო ტარიფების გაზრდის შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება წერილობით გამოხატოს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების სურვილი. ბანკი ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნის გაუქმების შესახებ ხელმძღვანელობს რა საკუთარი საკრედიტო პოლიტიკითა და წესებით.

1.20. კლიენტი თანახმაა, რომ ბანკმა უაქცეპტო წესით ყოველთვიურად ჩამოწეროს სადაზღვევო პრემიის თანხა მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, თუ ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით).

1.21. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მისი დამატებითი თანხმობის გარეშე მსესხებლის თავდებ(ებ)ს ან/და პირ(ებ)ს, რომელთა ქონებითაც უზრუნველყოფილია მსესხებლის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება მიაწოდოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია ბანკის მიმართ მსესხებლის იმ ვალდებულებ(ებ)ის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილია კონკრეტულად ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმღები პირის თავდებობით ან/და ქონებით. აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): დავალიანების მოცულობას, ვადას, საკრედიტო პროდუქტის დაფარვის ისტორიას, შესაბამის ხელშეკრულებებს და სხვა. ამ პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება არ განიხილება საბანკო საიდუმლოების გაცემად.

1.22. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ურთიერთობის მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე:

1.22.1. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან/ბიუროებთან (შემდგომში “ბიუროსთან”) დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, გადასცეს ბიუროს მსესხებელის შესახებ ბანკის ხელთ არსებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ინფორმაცია, რის საფუძველზეც მსესხებელი აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ბანკის მიმართ დავალიანების მოცულობას, კრედიტის მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე იგივე ინფორმაციას თავდებებისა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფების შესახებ, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოებისა და სააღსრულებო პროცედურების შესახებ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას მსესხებლის შესახებ, რასაც მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ დადგენილი პროცედურები.

1.22.2. გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ (მათ შორის, კლიენტის საკრედიტო ისტორიას).

1.22.3. მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების/პირობის (მათ შორის კრედიტის დაბრუნების) შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით (ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით), ბანკისთვის საჭირო პერიოდულობით მოითხოვოს, მიიღოს და დაამუშავოს მსესხებლის შესახებ მესამე პირთ(ებ)ან (მათ შორის საქართველოში მოქმედი საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები) და საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები) თუ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები, მათ შორის, მოახდინოს მათი გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის (სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შეთავაზებისთვის).

1.22.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ბანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს გადასცეს ან/და

გამოიყენოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ ისევე, როგორც მსესხებლის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი.

1.22.5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მსესხებლის შესახებ პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები.

1.23. ბანკს უფლება აქვს სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან/და კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების (მათ შორის სესხის დაბრუნების) მიზნით მოითხოვოს და მიიღოს და დაამუშავოს კლიენტის შესახებ მესამე პირთ(ებ)ან თუ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია.

1.24. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ბანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ ისევე, როგორც კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი.

1.25. ბანკს უფლება აქვს:

1.25.1. მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) ჩამოწეროს თანხა კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი განისაზღვრება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით;

1.25.2. კლიენტის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, შსს მომსახურების სააგენტოსთვის ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი მომსახურების საფასური ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახდელი (მათ შორის სადაზღვევო პრემია) კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) გადარიცხოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი პირის ანგარიშზე;

1.25.3. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის მიერ მისაღები/მიღებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტის მიერ საკრედიტო განაცხადში დაფიქსირებულ პირებს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს და ა.შ) და ასევე იმ პირებს, რომელთაც რაიმე სახის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) კავშირი აქვთ კლიენტთან, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

1.26. მსესხებელი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის მიღების და განხილვის პროცედურა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მისი მიღება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში. ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) თვე, სათანადო ფორმით შედგენილი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების დღიდან.

1.27. ბანკი უფლებამოსილია, ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ურთიერთობის მოქმედების მთელ პერიოდში, მსესხებლისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად განახორციელოს ყოველთვიური (და შესაბამისად, წლიური) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, თუ მსესხებელსა და კრედიტის გაცემის დროისათვის დაფიქსირებულ მის დამსაქმებელს შორის შეწყდება შრომითი ურთიერთობა ან შეწყდა ბანკსა და კრედიტის გაცემის დროისათვის დაფიქსირებულ მსესხებლის დამსაქმებელს შორის სახელფასე პროგრამასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება (ეს პუნქტი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მსესხებელი ფიზიკური პირია და ბანკსა და მსესხებლის დამსაქმებელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება სახელფასე პროგრამასთან დაკავშირებით).

მუხლი 2. საკრედიტო ურთიერთობის/ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

2.1. ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:

2.1.1. კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ნებისმიერ დამატებითი ხელშეკრულებით ან ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;

2.1.2. კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებისთვის თანდართული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდის ვალდებულებას;

2.1.3. არ შესრულდება (დაირღვევა) რომელიმე წინაპირობა, დამატებითი პირობა ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნა;

2.1.4. კლიენტი დაარღვევს სეხხის მიზნობრიობას;

2.1.5. მნიშვნელოვნად შემცირდება კლიენტის კაპიტალი;

2.1.6. კლიენტის საკუთრებაში განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება, ბანკის წინასწარი წერილობითი ინფორმირების გარეშე;

2.1.7. გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;

2.1.8. ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების რომელიმე პირობას;

2.1.9. განადგურდება, დაზიანდება ან/და ღირებულება შეუმცირდება ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა;

2.1.10. კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;

2.1.11. კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;

2.1.12. რაიმე უფლებით, ვალდებულებით ან/და შეზღუდვით (მათ შორის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით, ყადაღით და სხვა) დაიტვირთება ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

2.1.13. კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიმართ დადგება გადახდისუუნაროდ გამოცხადების საფრთხე.

2.1.14. ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;

2.1.15. კლიენტის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და ბანკისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);

2.1.16. კლიენტი ჩაიდენს ბანკის მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;

2.1.17. დადგება ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომლის არსებობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის, მისი თავდების ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება ან კლიენტის მიერ თანხის დროულად გადახდა.

2.2. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამ ხელშეკრულების “2.1.1.” – “2.1.17.” ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შესახებ.

2.3. ამ ხელშეკრულების “2.1.” პუნქტში აღწერილ შემთხვევაში (მიუხედავად კლიენტის ბრალისა ამ ხელშეკრულების “2.1.” პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომაში) კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ (ან ბანკის მიერ მითითებულ ვადაში) დაუბრუნოს ბანკს სესხის ძირითადი თანხა მასზე დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეასრულოს ბანკის წინაშე ნაკისრი ყველა ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

3.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის კლიენტის მიერ მასზე მიერთების დადასტურების (დასაშვებია ხელშეკრულებაზე მიერთების დადასტურება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებ(ებ)ის გამოყენებით) მომენტიდან და იმოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3.2. ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე http://www.basisbank.ge/agreements/, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.

3.3 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

3.4. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი (ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი – www.basisbank.ge; ინტერნეტ-ბანკი) ან ტელეფონი (მათ შორის, სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობაილ ბანკი).

3.5. ბანკს უფლება აქვს, ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულებაში, რის შესახებაც შეატყობინებს კლიენტს ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე, ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ერთ-ერთი (ან რამოდენიმე) ფორმით. კლიენტს უფლება ექნება, ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება. წინამდებარე პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება, ბანკის შეტყობინებაში განსაზღვრულ შესაბამის ვადაში, დაუბრუნოს ბანკს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული კრედიტი და გადაუხადოს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკს არ ევალება კლიენტის შეტყობინება (ინფორმირება) ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ისეთ ცვლილებაზე (დამატებაზე), რომელიც არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას. ნებისმიერი ასეთი ცვლილება (დამატება) ძალაში შედის ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე - www.basisbank.ge და/ან ბანკის სერვისცენტრებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისთანავე.

3.6. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

3.7. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

3.8. ამ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ბანკი განახორციელებს იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებას ან რეალიზაციას და ბანკის (როგორც იპოთეკარის ან/და მოგირავნის) მიერ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულება იქნება უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობაზე ნაკლები ან თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულების ან იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით.

3.9. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3.10. შეუსრულებელ ვალდებულებებზე მსესხებელი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს, რომ მსესხებლის მიმართ არსებული ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკის მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის იძულების ღონისძიებები, მათ შორის (და არა მხოლოდ):

3.10.1. მსესხებლის კუთვნილ უძრავ-მოძრავ ქონებებზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადება;

4.10.2. მსესხებლის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში;

4.10.3. მსესხებლის მიერ ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალიზაცია შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით. ამასთან, თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეალიზაციოდ მიქცევის შედეგად სრულად ვერ დაიფარება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის მოთხოვნა, ბანკი უფლებამოსილია, დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით აღსრულება მიაქციოს მსესხებლის ნებისმიერ სხვა ქონებაზე (მსესხებლის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე).